ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4226741

ნომერი: AR1638016

თარიღი : 16.10.2018

გაცემის თარიღი : 22.10.2018

გაცნობის თარიღი : 22.10.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი დავით აღმაშენებელი , N 89/24;

დამკვეთი-განმცხადებელი

- შალვა ქურიძე პ/ნ 01017007533
- თბილისი გ.ახვლედიანის ქ. N 25

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის,"კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისისმუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისისმუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2018 წლის 16 ოქტომბრის AR1638035 განცხადება. სამსახურს, რომ მიეცეს საკითხზე სრულყოფილად მსჯელობის შესძლებლობა საჭიროა:

- განმარტეთ, შენობის ფასადზე აღნიშნული ობიექტების განთავსება რა დროის მანძილზეა დაგეგმილი;
- ფოტომონტაჟს მიუთითეთ ნიშნულები, მასალები, ზომები;
- ფოტომონტაჟი აჩვენეთ ისეთი რაკურსით, რომ ჩანდეს მოაჯირზე განთავსებული დროშის კიდიდან ტროტუარის კიდემდე მანძილი, რომ განვსაზღვროთ რამდენით არის შეჭრილი საზოგადოებრივ სივრცეში საპროექტო ობიექტები. აღნიშნულთან დაკავშირებით გაითვალისწინეთ 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების, მუხლი 33 ;
- საკადასტრო გეგმაზე მონიშნეთ საპროექტო არეალი, დაიტანეთ საპროექტო დროშები ზომების მითითებით;

სამსახური დაუბრუნდება საკითხის განხილვას სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ. ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების გამოუსწორებლობის შემთხვევაში, თქვენი AR1638035 განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.